ფასი 50 კაპ.

ყოველდღიური პირველი

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 119 ხუთშაბათი, 19 დეკემბერი, 1918 წ. № 119

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ქართული ლატარია

მოკალაკენო! ნუ აგვიანებთ გილეთების შეძენას.

1168 5—4

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

გამგე ს. ი. ელახოვი. ხუთშაბათს, დეკემბრის 19, ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დღეს—სიმფონიებს, ზალიასკის, ნიკოლსკის, დემიანენკოს მონაწილეობით

სევილიელი დალაქი.

და ბალეტი (საათის ცეკვა ოპერა ჯიოკონდადან).

შაბათს, დეკემბრის 21 სიმფონიებს, სარაჯევის, ინაევის მონაწილეობით „ტრავიატა“. კვირას დეკემბრის 22, დილით „ევგენი ონეგინი“, საღამოს ლოენგრინი, ზალიასკის, ნიკოლსკის მონაწილეობით. „ალი“. სამშაბათს, დეკემბრის 24-ს სიმფონიებს და სარაჯევის მონაწილეობით. „მარგალიტის მაძებარნი“.

1199. 1—1

ტფილ. ქალთ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობა

აცხადებს საკრთ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარჩევნო ინსტრუქციის 1 §-ის ძალით, არჩევნები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებისა დანიშნულია:

1) ქ. ტფილისში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს: I, II, III, IV, V და VI სამოქალაქო უბნებისა ტფილ. ქარ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე (ფრიედრიხის ქ. 11). თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს მიხეილ ჯავახიშვილს; მე-VII, VIII, IX, X, XI და XII უბნებისა ძმ. ზუბალაშვილების სახლხო სახლში ამავე დღეს; თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს სვიმონ ჭყონიას.

2) ღუშეთისა და გორის მაზრების არჩევნები დანიშნულია ქ. გორში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე; თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს ზაქარია ქიტიაშვილს.

3) სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქის არჩევნები დანიშნულია ქ. სიღნაღში საურთიერთო ნდობის სახოგად. ბინაზე (ბანაში) 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წ. თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს კოტე ტყავაძეს.

4) თიანეთისა და თელავის მაზრებისა დანიშნულია ქ. თელავში 12 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს კახეთის კოოპერატივთა კავშირის ბინაზე. თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს კოტე ტყავაძეს.

საარჩევნო სიების განხილვა შეიძლება ზემოაღნიშნულ ბინებზე 1918 წ. დეკემბრის 19-დან ყოველ დღე 10 ს-დან 3 ს-მდის.

1185 3—2

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო

აცხადებს კონკურსს ქართულ სათამაშო ქაღალდების ნახატების დასამზადებლად შემდეგი პირობებით:

1. ნახატი უნდა იყოს შედგენილი ქართულს სტილზე; განი სათამაშო ქაღალდისა უნდა იყოს 56 ქლიბეტრი, სიგრძე კი 86 ქლიბეტრი.
2. ნახატის პირი რამდენიმე ფერადი უნდა იყოს შესრულებული. უკანა მხარე კი ერთი ფერადით, ხმოლდ წარმოდგენილი უნდა იქნეს ასეთი ერთფერადენი ქაღალდის ორი ნიშნები ცალ-ცალკე დასტებისათვის (შავი ან მუქი-ლურჯი და წითელი).
3. უნახატო ქაღალდის პირი უნდა იყოს იმავე ფერისა, როგორიც ნახატებიან ქაღალდის მთავარი ფერი იქნება (ორი ფერი მოწითლო და ორიც შავი) ხოლო უკანა მხარე ნახატებიან ქაღალდის ფერისა უნდა იყოს.
4. ნახატი წარმოდგენილ უნდა იქნეს ფინანსთა სამინისტროს კანცელარიაში არა უგვიანეს მომავალ 1919 წლის 20 იანვრისა ნაშუადღევის 2 საათამდე.
5. მოწოდებული და მიღებული სურათის მხატვარს მიეცემა ჯილდოთ 1000 მანეთი. თუ მოწოდებულ და მიღებულ იქმნა მხოლოდ ნახატიანი პირი მაშინ ჯილდოთ მიეცემა 500 მანეთი, უნახატო პირისათვის—300 მანეთი, სათამაშო ქაღალდის უკანა მხარისათვის—200 მანეთი. დაჯილდოებული სათამაშო ქაღალდი სახელმწიფოს საკუთრებათ ჩაითვლება.
6. ნახატები უნდა წარდგენილ იქმნეს დაბეჭდილ კონვერტში რაიმე წარწერით ან პირობითი ნიშნებით ( ) ამით; მასთან აღნიშნული უნდა იყოს, რომ კანვერტში ნახატები არის მოთავსებული; აგეთ, ( ) წარწერა და ნიშანი უნდა იყოს მეორე კონვერტზედაც, რომელშიაც უნდა იყოს გ[illegible]ათი სურათების მხატვარის სახელისა, გვარის და მისამართის აღნიშვნით.

1197 1 | 1

მაამულიშვილნო!

დღეს საშოგლოს თქვენი თავი სჭირია

მოიხადეთ თქვენი მოვალეობა

ქართული ლეგიონი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით მოუწოდებს მოხალისეებს.

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაში, (სასახლის ბაღი) ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით მოთავსებულია ლეგიონის კანცელარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე.

ოფიციალური განკოფილება

მთავრობის დადგენილება

15 დეკემბრის 1918 წ.

№ 56.

მოხდეს დაუყონებლივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქვეშევრდომთა 1892, 1893, 1894, 1895 წ. წ. დაბადებულთა საყოველთაო მობილიზაცია.

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

17 დეკემბერი 1918 წ.

№ 55.

მიენდოს სამხედრო მინისტრს შეადგინოს მოხალისეთა ჯარის ნაწილები საქართველოს რესპუბლიკის იმ პირთაგან, რომელნიც, თანახმად მთავრობის დადგენილებისა მობილიზაციის შესახებ, ჯარში გაწვეულნი არ არიან და წლოვანობით არ არიან 18 წლისაზე ნაკლები.

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

17 დეკემბერს 1918 წ.

№ 57.

გამოცხადდეს სამხედრო წესები ტფილისისა და გორის მაზრებში. გენ.-გუბერნატორის უფლებებით აღჭურვოს გუბერნიის კომისარი მაღლაკელიძე, ეს დადგენილება შედის ძალაში დღიდან გამოცხადებისა.

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

სავალდებულო დადგენილება

ქ. ტფილისის და მისი მიდამოების ღენერალ-გუბერნატორის თანახმად გამოცემული წესდებისა იმ ადგილებზე, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები:

1. ნაცვლად ჩემ მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა ამა წლის 17 ნოემბრიდან და 7 დეკემბრიდან, აკრძალულია ყოველივე მოძრაობა ქეჩეებში ღამის 11 საათის შემდეგ ვიდრე $5^1/_2$ საათამდე ჩემდა-რწმუნებულ საღენერალ-გუბერნატორობაში, ვისაც ამისთვის საგანგებო ნებართვა არ ექნება.
2. ყველა სალხინო, სავაჭრო და ამ გვარი ადგილები უნდა დაიკეტოს აუცილებლად ღამის სრულ 10 საათზე.
3. ვიდრე მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია სწარმოებს, ყველა ღვინის სარდაფები და სავაჭროები, რომლებიც ( )ღვინით და სხვა მაგარი სასმელებით ვაჭრობენ, უნდა უეჭველად იქნენ დაბეჭდილნი. აგრეთვე აღიკრძალება ყოველი გვარი სასმელებით ვაჭრობა ყველა კლუბებში, ბუფეტებში და სასადილოებში.

ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში, დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაუყონებლივ იქნებიან ადმინისტრატიულ წესით დასჯილნი ციხეში წელიწად ნახევრის ვადით, ან დაჯარიმებული ათი ათასი მანეთით.

ღენერალ-გუბერნატორი

ღენერალ-მაიორი მაზნეშვილი.

18 დეკემბერი 1918 წ.

ქ. ტფილისში.

განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობისა.

17 დეკემბერი, 1918 წ.

№ 53.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობის მდივანი გრიგორ ტატეს ძე რობაქიძე დროებით განთავისუფლებულ იქმნეს თანამდებობიდან ამა 9 დეკემბრიდან ჯამაგირის შეუნახავად.

17. დეკემბერი 1918 წ.

№ 54.

დათხოვნილი არიან: 1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მართველობის საქმის მწარმოებელი ალექსანდრე იოსების ძე ნიკიტინი ამა წლის 9 დეკემბრიდან.

2. ამავე მართველობის ექსპედიტორის უფროსი თანაშემწე ვიაჩესლავ ანტონის ძე აბრამეკი ამა წლის 9 დეკემბრიდან.

3. ამავე მართველობის ექსპედიტორის თანაშემწე ვერა მაკედონის ასული ვეზირიშვილისა ამა წლის 9 დეკემბრიდან.

4. ამავე მართველობის კანცელარიის მოხელე გალინა პეტრეს ასული იგნატოვსკისა ამა წლისს 9 დეკემბრიდან.

5. ამავე მართველობის მანქანაზე გადამწერი ქალი სალომე ილიას ასული სულხანიშვილი ამა წლის 6 დეკემბრიდან.

დანიშნულ არიან: 6. ნესტორ კონსტანტინეს ძე ერისთავი ამავე მართველობის საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ ამა 9 დეკემბრიდან.

7. სერგეი გრიგორის ძე ავალიანი ამავე მართველობის ექსპედიტორის უფროსს თანაშემწეთ 9 ამა დეკემბრიდან.

8. მარია იოსების ასული თუბარლისა ამავე მართველობის ექსპედიტორის უნცრეს თანაშემწეთ 9 ამა დეკემბრიდან.

9. გალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძე ამავე მართველობის კანცელარიის მოხელეთ 9 ამა დეკემბრიდან.

10. მარია იაკოფის ასული ვარფოლომეევისა ამავე მართველობის მანქანაზე გადამწერად 6 ამა დეკემბრიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტი სომხეთის თავდასხმის გამო

მთავროგის თავმჯდომარის გ. ნ. ჟორდანიას სიტყვა

(ჩაწერილია სტენოგრაფიით).

ბატონებო, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა მსოფლიო ომი ქრება, როცა უიღრეესი იმპერიალისტური ქვეყნები თავის ხმლს აგებენ ქარქაშში, და მსოფლიო ზავი მზადდება, აი ამ დროს სომხების მთავრობა მალულად და ჩუმად ჩვენ საქართველოს რეპუბლიკას თავს დაესხა.

ეხლა ირკვევა აშკარად, რომ მან, ან მისმა აგენტებმა ჯერ მოაწყვეს სომხური სოფლების აჯანყება, შემდეგ ეს თითზე დაბეჭეს და თავისი რეგულიარული ჯარები ჩვენს საზღვრებში შემოიყვანეს.

ამით სომხეთის მთავრობამ დაარღვია საუკუნოებით შემუშავებული კეთილ-მეზობლური განწყობილება.

მან ლახვარი ჩასცა როგორც ქართულ, ისე სომხის ხალხის ისტორიულ ტრადიციას.

მთ შორის არასოდეს ომიანობა არა ყოფილა, და აი ეხლა ამ მთავრობამ ორივე ხალხი ჩაითრია ამ სამარცხვინო საქმეში, თუ კი საშეალო საუკუნოებში, იმ ბარბაროსულ დროს ორივე ერის მთავრობა ახერხებდა ომიერად, მეგობრულად ცხოვრებას, რა მოხდა დღეს მე-20, საუკუნეში, რომ სომხის მთავრობა ომის გზას დაადგა, ჩაიდინა დიდი ისტორიული დანაშაულობა და ეს დანაშაულობა დარჩება წაურეცხელი ისტორიის შავ ფურცლებზე.

კაჩაზნენის მთავრობამ პასუხი უნდა აგოს როგორც ხალხი ისე სამართლიანობის წინაშე.

მან უნდა მოიყვანოს ის საბუთები, თუ რის ძალით შეიძლინან მას ეს თავისი მოქმედება გაამართლოს.

ჩვენ ოკეი ვიცით ეს საბუთები და ეხლა მე მინდა რომ ეს საბუთები, რომელიც ჩვენ გვაქვს თქვენ გაგაგებინონო. რომ თქვენ გასაჯოთ თუ მართლა ეს საბუთები წაადგა საბუთებს და თუ მართლა შეიძლება ამ საბუთების ძალით ასეთი დიდი ისტორიული დანაშაულობის ჩადენა.

ისინი გვწერენ: საზღვრებზე მდებარე ერთ სომხის სოფელში მიაყენეს შეურაცყოფა თქვენმა სალდათებმა მცხოვრებლებს, და ჩვენ ამას ვერ მოვითმენთო".

აი, ბატონებო, მათი პირველი საბუთი. და მერე? საიდან იცოან, რომ ეს ესე მოხდა? და თუ ასითი თავტები მოხდა, რატომ ეგონათ, რომ ჩვენ თვითონ დამნაშავეთ არ დაესჯიდით? ან საიდან მიიღეს ის ფიქრები, რომ ჩვენ სინაზეა საქმეში. ასეთ წერილად კეთხიის გამო ჩაგვრეოდნენ? სადა. რომელ ქვეყნებში მოხდარა, რომ ასეთ წერილად საქმის გამო—ერთ სახელმწიფოს ომი გამოეცხადებინოს მეორე სახელმწიფოსათვის?

აქოთან თქვენ ხედავთ, რომ ეს საბუთი ისეთი მჩატეა, და გამოგონილია, რომ ვერ ვეთანხმებ საბოთობას ეს ეერ გასწეეს. ვერაეითარ საბსაჯაროს წინაშე ვერაეთარ მთავრობის წინაშე ამ საბუთით ვერასოდეს ვერ წარსდგებიან.

მეორე საბუთი: „თქვენ დაიპირეთ, აბობენ ისინი, სადაო რაიონები"-ო.

დიახ. ჩვენ დავიპირეთ ეს სადაო რაიონები, მაგრამ, განა ეს ახალი ამბავი არის.

ჩვენ დავიპირეთ ბორჩალოს ის ხაზი, ამ 2 თვის წინად. ეს მოხდა მათი თანხმობით. და თუ არ შეიძლებოდა მაშინ ამ რაიონების დაპირა, რატომ მაშინვე არა თქვეს, რომ ამ რაიონების დაპირა არის ომის საბაბი?

არა, მაშინ ის მათ არ ფიქრობთ.

მაშინ ჩვენ მათთან ვეკამეთ მოლაპარაკება. თქვენ გახსოვთ, ჩვენი ჯარი და მათი ჯარი პირისპირ შეხედნენ ერთმანეთს შეთანხმდნენ. საზღვრების საკითხი ახალი საქმე არ არის. ჩვენ თავის დროზე გამოვაცხადეთ, რომ საქართველოს საზღვრებად ჩვენ ესთვლით მთელ ტფილისის გუბერნიას და ამ გუბერნიას დავეკარგ. და თუ ვისმე აქვს სადაო რამ,—მობაძ-ძანდეთ და ვილაპარაკოთ.

იმავე ძალით ჩვენ დავიპირეთ ჯავახეთი. ესეც არ არის ახალი ამბავი.

ჩვენ დიდი ხანია, ეს არ დაგვიმალავს, გავეზიანეთ იქ ჯარები და დაყაარეთ განსაკუთრებული გენერალ-გუბერნატორობა ახალ-ციხის და ახალქალაქის მაზრებში.

ჩვენ ამაზე ვიქონიეთ მიწერ მოწერა ოსმალეთთან. ოსმალეთი წავიდა, და ჩვენ იქ შევიდეთ, ასე რომ სრულიად ეს არ შემდარა ისე უ ბად და საიდუმლოდ ჩადენილი.

და ეს არაეისთვის არ არის ახალი ამბავი. ეს არის ბატონებო. მათი მთელი საბუთები. ამაზე მეტი საბუთები მათ არ მოიძებნებათ და ამაზე მეტი მათ არც მოუწერნიათ.

აქედან თქვენ ხედავთ რომ ეს საბუთი არის წამოყენებული მხოლოდ იმიტომ, რომ გაამართლონ თავისი საქციელი.

თქვენ კარგად იცით, რომ მგელმაც არ შეუბამა კრავი უსაბუთოდ, მან ის საბუთი წამოიყენა, რომ კრავმა წყალი ამიმღვრიაო, მაგრამ რომელი სერიოზული ადამიანი დაიჯერებს რომ ის მოქმედებდა ამ საბუთებით ის მოქმედებდა იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მისი ბუნება, და მე მგონია, რომ კაჩაზნენის მთავრობას ასეთი ბუნება აქვს. (ვეშაპელი: ნუ თუ ჩვენ კრავები ვართ? როდემდის უნდა ვიყენენ კრავები?).

მე მგონია, ბატონებო, რომ კაჩაზნენის მთავრობას ასეთი ბუნება აქვს. მას არ შეუძლია მეზობლებთან ყოოს მშვიდობიან განწყობილებაში, მას უნდა ჰქონდეს მუდამ ვისმესთან ომი, შუღლი და ჩხუბი,—აი ეს არის მთავარი მიზეზი იმ ფაქტებისა, ის საქმეცა, რომელიც ხდება ბორჩალოს მაზრაში და არა ის მიზეზები, რომელიც ჩვენ წარმოვავდგინეს და დღეს აქ გაგაცანით. ჩვენ გვიგონია და ვფიქრობდით, რომ ერეკლის თთავრობამ იცის და დაიფიცებს იმას, რომ თუ მას დღეკანდელ პირობებში ასე თუ ისე თათრებთან ცუდი განწყობილება აქვთ, სამაგიეროდ ქართველებთან აქვთ კარგი განწყობილება. და ჩვენც კარგი განწყობილება გვქონდა მათთან. მათ სრულიად მოულოდნელად ჩვენდამი კეთილი განწყობილება ჩაშალეს. ამნაირად ჩალეწეს ჩვენ და მათ შორის დიდი ხნის გადებული ხიდი. ალბად რაიმე იმედი აქვთ, რომელიღაც ძალისა, მაგრამ არა მგონია ეს იმედი მათ გაუმართლდეთ. არა მგონია იყოს ისეთი სახელმწიფოებრივი ძალა, რომელიც გაამართლებს ასეთ ვერაგულ მოქმედებას.

მართალია, ჩვენ მიმმართეთ „გარეშე ძალას, მაგრამ ჩვენ მიემართეთ არა ამიერ-კავკასიის ერთა წინაალმდეგ, არამედ ამიერ-კავკასიის მტერთა წინაალმდეგ.

ჩვენ ამ ძალის საშუალებით ერთ და იმავე დროს დავიფარეთ, არა მარტო ქართველები, არამედ დიდძალი სომხობა (ხმა: მართალია! აი ჩვენ ამას ვატარებთ.

მხოლოდ, ბატონებო, კაჩაზნენის მთავრობა ეშყარება ვიღაც, რაღაც ძალას არა ამიერ-კავკასიის ერთა სასარგებლოდ, არამედ ჩვენს წინაალმდეგ, უნდა დაეშმარეთ, რომ აქ არის ორი პოლიტიკა, ორი ხაზი. ერთი არის ჩვენი, მეორე არის მათი. ჩვენი პოლიტიკა არის მიმართული ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის კენ, მათი ხაზი არის მმართლილი ომისკენ. რომ ეს სოლიდარობა სამუდამოდ მოისპოს და შუღლი და მტრობა, რომელიც, სამწუხაროდ, არსებობს სომეხთა და თათართა შორის, სამუდამოდ სუფეოდეს ქართველებსა და სომხებს შორისაც. ჩვენ, ბატონებო, ამ ხაზს ვიბრძოდით თავიდანვე და ვიბრძოდით ღღისაც. სომხეთში და ალბად სომხის მთავრობაში, ჩვენ ვიცოდით წინადაც, რომ იყო ორი მიმართულება. ერთი მიმართულება იყო მომხრე შეთანხმებისა; მეორე მიმართულება იყო—მიმართულება მაუზრებისა, რომ ძალით იყოს ვადაწყვეტილი საქმე. მე უნდა ვსთქვა, რომ მაშინვე მე ეჭვი დამიბადა, როცა პირველი მიმართულების მთავარი კარჩიკიანი მოკვლეს, მაშინვე ეს თქვი ალბად საქმე (ოდიან მიდისოქო (ხმა: მართალია, ვიშპაშელი: რა ზომიერი მიიღეთ?) ოიქვეილია რომ ამ ოჯახისაკენ სან დღიში, ამ ოჯახისკენ დროს, ან შეიძლება წინადაც, ამ მეორე სახელიერო მიმართულებას გაუმარჯვენია ერევანში და და დღეს ჩვენ გვაქვს ომი.

ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ, ამ დიდ ისტორიული დანაშაულობის პასუხის მგებელი არის მთავრობა კაჩაზნენისა (ხმა: პარლამეტი).

ჩვენ მოიფთხოვთ, ჩვენი მთავრობა მოითხოვს, რომ ამ საქმის შეეხებოდეთ სრულიოზულად, რომ მთელი საქართველო ფიზზე დასდგეს,—და ფაოკითესო მეგრძოლნი მან გამოგზავნოს.

იქ, სადაც უფლება არ სჭრის, დაე ხმალი იყოს იარაღი უფლების.

დაე, ხმალი იყოს ამ უფლების გადამჭრელი.

სადაც არ სჭრის „გონიერება,—

დაე იარაღმა გადასჭრას—

ჩვენ მაგისი არ ვვეშინია. (მეუხარე ტაში)

ჩვენ ვართ ღრმად დარწმუნებული, რომ ჩვენი საქმე წმინდაა.

თქვენ იცით, ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ ყველანაირი ზომები მივიღეთ, რომ ეს ხმალი აგვეშორებინა.

ჩვენი საქმე არის წმინდა საქმე და ჩვენ მოვსთხოვთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩეველად პარტიისა და ვგავრ-ტომობისა მხარი დაგვიჭიროს, რადგანაც დღეს ვინც არ არის ჩვენი მხრე, ის არის ჩვენს წინაღმდეგ, არის ჩვენი მტერი და ისინი ჩვენს საქართველოს რესპუბლიკაში ვერ დარჩებიან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს დადგა ისეთი დრო, როცა ასე თუ ისე ჩვენ უნდა დავიმაყოროთ ამიერ-კავკასიის ერთა შორის უფლებრივი მდგომარეობა. და ვინაიდან ეს უფლებრივი მდგომარეობა არ სურს ერევნის მთავრობას, ამიტომ ჩვენ ეს თავზე უნდა მოვახვიოთ მას იარაღით ხელში.

თუ დღეს დავმარცხდით, ამიერ-კავკასიაში საშუალმიდ დარჩება შუღლი და მტრობა და ამიერ-კავკასიაში ან ფედერაცია ან კონფედერაცია შეუძლებელი იქნება.

ჩვენ მოიწოდებით საქართველოს დემოკრატიას საბჭო

ქართველოს დემოკრატია, რომელმაც შექმნა თავისი დამოუკიდებლობა, რომელმაც თავისი თავი გადაარჩინა, იმდენად სუსტი იქნება, რომ ერთი ქურდული დაკვრით შეიძლება ამ დემოკრატიის განადგურება.

ჩვენ კი ვიცით, მეგობრებო, რომ სწორედ საქართველოს დემოკრატია დღეს დგება ფეხზე და ჩვენთან, სხვათა შორის, სომხის დემოკრატიის საუკეთესო ნაწილი ყველაზე უფრო პატიოსანი შუშაკნი ჩვენთან ერთად არიან, ჩვენთან ერთად იბრძვიან. ეს სხვათა შორის იმის მაჩვენებელი არის, რომ ჩვენი საქმე სწორია და სამართლიან საქმეში, ბოლოს და ბოლოს ნია და სამართლიან საქმეში, ზოგიერნი თოქმის სასოწარკვეთილებამ გაიტაცა. ისინი, ვინც არ იცნობენ სომხედრო მოქმედებას მხოლოდ მსხვერპლით სინჯავენ, ფიზიკურად, როდესაც გიგიბენ, რამდენი კაცი მოჰკლეს, იმათ სასოწარკვეთილება იტაცებს, მაგრამ ვინც ეროვნულ-ღრმად ჩაიხედავს საქმეში, ვინც გაითვალისწინებს იმას, თუ რა აღფრთოვანებენ გამოიწვია ამ ქურდულმა ავაზაკურმა თავდასხმამ, ის რასაკვირველია მიხვდება, რომ სწორედ დღეს იწყება ის საათი, როდესაც გამარჯვება ჩვენს მხარეზე გადმოდის. თუ წინად ჩვენი რაზმი ყოველივეს რეკვაში იყო, სულ ერთია სადაც უნდა წაგვეყვანნა, დღეს ეს რყევა სრულიად არ არის და დღეს, როდესაც ჩვენ ვიწვევთ 20 კაცს და 20 კაცის ნაცვლად მოდის 30, რომელთაც კარგად იციან, რომ დღეს ისინი საღხინოდ არ მოდიან, არამედ საბრძოლველად და თუმცა ბევრმა მათგანმა იცის, რომ ბევრი მათგანი იქნება ვეღარ დაბრუნდეს თავის სახლში, ისინი მაინც დიდის აღფრთოვანებით მიდიან ამ საპასუხისმგებელო საქმეზე, რადგანაც მათ კარგად იციან, რომ თავიანთ სისხლით, თავიანთ სიცოცხლით საქართველოს დემოკრატიას და საზოგადოთ დემოკრატიას იცავენ. და აი სწორედ დღეს, როდესაც ერთის მხრივ ჩვენს რაზმს უკვე პოზიცია უჭერია და მეორეს მხრივ ახალი რაზმი იგზავნება იქით, მე მინდა გითხრათ შემდეგი:

მე ვიცი, რომ ჩვენი ჯარი და სახალხო გვარდია კარგად იბრძოლებს, მაგრამ მე მინდა ისიც დავიჯერო, რომ მთელი საზოგადოება და განსაკუთრებით ის საზოგადოება, რომელსაც წარმოადგენენ ბ. ვეშაპელი და გაბაშვილი, ამ ჩვენს ბრძოლაში სავსებით მხარს დაგვეჭერენ (ვეშაპელი: წამოვალთ). თორემ მე მახსოვს მოქალაქენო, ბათომის ეპიპეია და სწორედ ბათომის ეპოპეიაში ჩვენ დავმარცხდით, არა იმიტომ, რომ ჩვენ სრულიად მოუზადებელნი და სუსტნი ვიყავით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან გულგრილად შეხვდა ამ ომს. აღდგომის დღეს, როდესაც ჩვენს ფრონტზე, ჩვენი მებრძოლნი თავის სანგრებში იწვნენ თოფქმის არავის გახსენებია ამ ფრონტის ბედი გარდა ქუთაისის ქალთა საზოგადოებისა და ნახალოკის მუშებისა.

როდესაც დღეს აქედან გავდივარ ვითხოვ რომ ის საზოგადოება, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ ბრძოლაში, მაგრამ რომელსაც სწამს ამ ბრძოლის სიმართლე და დემოკრატიის გამარჯვება, ჩვენ, ვინც ამ ფრონტზე მივდივართ არ დაგვივიწყონ და იმედი მთელი თავისი შეძლებით, მთელი თავის ძალღონით მხარს დაგვეჭიერენ (ვაშა. ტაში) და თუ ასეთი ერთსულოვნება იქნება, როგორიც თქვენ გამოხატეთ აქ და ყოველი ჩვენგანი შეძლებისამებრ მსხვერპლს გამოიღებს, ზოგიერთი თავისი სისხლით იმიტომ, რომ მას მხოლოდ სისხლით შეუძლიან სამშობლოს დაცვა, ზოგიერთს თვის თანაგრძნობით, ზოგიერთს თავის ქონებით, მაშინ მე მწამს ამხანაგები, რომ ეს ამართული წითელი დროშები, რომელსაც თქვენ გვატანთ ჩვენ გამარჯვებული აქ ჩამოგიტანთ თქვენ (ტაში).

მუსულმანების წარმომადგენელ ასვერდოვის სიტყვა

მოქალაქენო! პარლამენტის წევრნო! ამ ისტორიულ მომენტში მე გამოვდივარ საქართველოს რესპუბლიკის მუსულმან მოქალაქეთა სახელით. დასრულდა დიდი ევროპიული ომი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ წუთიდან დაიწყებოდა კეთილი ურთიერთ ცხოვრება ხალხსა, და განსაკუთრებით ის ხალხსა, რომელიც ბერძენ-კავკასიაში სცხოვრობს, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. მეზობელმა [illegible] ომი გამოგვიცხადა. სჩანდა კი, რომ ეხლა არავინ არი საბრძ ამ ომისათვის არ იყო. შეიძლებოდა [illegible] ის საკითხი, რომელიც არსებობს ქართველებსა და სომხებს შორის, გადაწყვეტილიყო მშვიდობიანი კონფერენციის გზით. ჩვენმა მეზობლმა კიდეც იძიებდა ყოველ ზომას, რომ ამგვარად სადავო საკითხები მოგვარებულიყო, რაც სჩანს დღეს დაბეჭდილ დეპეშებიდან. მაგრამ ერთი სომხური პარტია წმინდა ეგოისტურ მიზნების გამო შეეცადა გამოეწვია ეს ცეცხლი მე უნდა ვსთქვა, რომ დარწმუნებული ვიყავი: 1905 წლის ცეცხლი მესამე პირის ხელმა გამოიწვია, მაგრამ დღეს ცოტათი ეჭვი მეპარება (გაბაშვილი: ჩვენ არც მაშინ ვეეჭიდით). ჩვენ, როდესაც პარლამენტში შემოვედით ჩვენს დეკლარაციაში ჩვენ განვაცხადეთ, რომ საქართველოს მუსულმანები ყოველგვარ შესაძლებელ ზომებით დაიცავენ თავის სამშობლოს ყველასგან, ვინც არ უნდა იყოს მისი მტერი და დღეს ამასვე ვაცხადებთ, ზეიმით ვიმეორებთ, როცა საკირია სიტყვიდან საქმეზე გადასვლა (ტაშის ცემა). მე-18 საუკუნის ბოლოს, როცა მრისხანე აღა-მაჰმადხანის ჯარები ციხე შუშას შემოერტყნენ, ყარაბახის ხანის იბრაგიმის გამოსახსნელათ ვიგზავნეთ საქართველოს ჯარმა მეფის შვილი ალექსანდრე ირაკლეს ძის მეთაურობით (ვეშაპელი: თქვენ კარგი მახსოვრობა გქონიათ!) და როდესაც ამის შემდეგ სპარსეთის შახი ქართველებზე გაჯავრდა და თავის ჯარები მასზე გამოალაშქრა, მაშინ ჩვენ მუსულმანები, ბორჩალოს მაზრის მუსულმანები საქართველოს ჯარის რიგში ჩასდგნენ ტ თავის ერთმორწმუნეების წინააღმდეგ წავიდნენ (ვაჩნაძე: ეაშა ბორჩალოს!) და ეს გარემოება დღევანდლამდე (ცოცხლობს ბორჩალოს მაზრის მუსულმანთა მეხსიერებაში. ეხლა მუსულმანთა რაზმი უკვე შემდგარია და ისინი გამოდიან საქართველოს რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ. (ტაშის ცემა) მათ ომი გამოუცხადეს არა საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის. და მან, ვისთვისაც ბერიოსანი ეს დამოუკიდებლობა, უნდა დაიცვას იგი ყოველი საშუალებით. მუსულმანებს ეს ესმით და ისინი სიხარულით მიდიან მათ წინააღმდეგ, ვინც ლამობს ფეხქვეშ გათელოს საქართველოს თავისუფლება და თავისუფლება ამიერ-კავკასიისა (ხმა: მართალია!). ბორჩალოელ მუსულმანებს, მე მწამს, თან გაჰყვებიან საქართველოს რესპუბლიკის სხვა ნაწილების მუსულმანებიც: სიღნაღის, თელავის, ახალციხის და სხვა მაზრების მუსულმანები და ისინი ყოველი ზომით მხარს დაუჭერენ თავის სამშობლოს. და კიდევ ვაცხადებ, თუ რა დიდი სიამოვნებაა ჩემთვის განვაცხადო, ისე როგორც პარლამენტში შემოსულის დროს:— გაუმარჯოს საქართველოს (ტაში).

ქართველ ისრაელოა წარმომადგენლის მ. დავარაშვილის სიტყვა.

ბატონებო! ასეთ ისტორიულ მომენტში ვერც ქართველი ისრაელები ვიგეზმდებიდნ. ჩვენი სიტყვა ის არის, რაც სთქვა ქართველ ერის და საერთო დემოკრატიის წარმომადგენელმა ნოე ჟორდანიამ, რომ ჩვენი ძალღონე, ფიზიკური და მორალური, მატერიალური რესურსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისთვის უნდა დაიწყას. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას (ტაში).

ფრაკციათა წარმომადგენელნი.

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების მხრივ ილაპარაკა—ბ. ვეშაპელმა, ნაციონალ-დემოკრატებიდან—ბ. გვაზავამ, სოციალისტ-ფედერალისტებიდან—ბ. გრ. რცხილაძემ, სოციალ-დემოკრატებიდან—ბ. აღ. ლომთათიძემ. ყველა ერთხმათ საქართველოს რესპუბლიკას ამ საკითხში მხარს უჭერდა და აღუოქვამდა დახმარებას.

საქართველოს პარლამენტის რეზოლიუცია.

„მოიხმინა რა მთავრობის მოხსენება შესახებ სამხედრო მოქმედებისა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს შორის, პარლამენტი აღიარებს:

1. რომ საქართველოს მთავრობას არავითარი სბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის. რომ მან მიიღო ყოველივე ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის შვიდობიანად გადაწყვეტისათვის.

2. რომ სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს ჯარის სადარაჯოებს, მრავალი ჯარის კაცი დახოცა, მრავალი ტყვედ წაიყვანა.

პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მტერთა ასალაგმავად, ალუთვლიმს მთავრობას ყოველს დახმარებას რესპუბლიკის დასაცველად და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართულია არა სომეხ ხალხის წინაღმდეგ, არამედ წინაღმდეგ სომხეთის მთავრობისაგან იმ წრეებისა, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს ნაციონალურებით მეგობრულ ერთა შორის და როგორც ქართველს, ისე სომეხ ხალხს განადგურებას უქადის".

რეზოლიუცია პარლამენტმა მიიღო ერთხმათ.

ქართველი ერის სამრეკლოზე

(17 დეკემბერს პარლამენტში).

წამებული, დაღლილი, გაფთრებული ავიდა ის ერის სამრეკლოზე და ჩამოჰკრა საბედისწერო ზარს...

ერის სიმეონმა ამოსთხარა მის მიერ აღზრდილი, მის მიერ ერის გულში ჩათესილი შვიდობიანობის ყვავილი და სთქვა—

— თავდაცვა... ბძოლა... სისხლი.

ეს იყო ეამი, რომლის წინაშე მოხუცი ისტორია კანკალებს, ეს იყო წუთი,—როცა მატიანეს თეთრი ფურცლები სათნოებით იშლებიან, ელიან მარადიულ ფურადებს...

არის წუთები, როცა ამ გაშლილ ფურცლებს უხვად ჰფარავს შავი ლაქები. ხშირად ისინი წითლად იღებებიან—სახელოვანი, მარადიული, სიკოცხლის სიყვარულის ფერებით.

17 დეკემბერს, ახალგაზდა საქართველომ სთქვა, რომ მას უყვარს სიკოცხლე, მას უყვარს ეს მზე, ეს ქვეყანა, ეს მსოფლიო... მან სთქვა რომ ის არსებობს, რომ მას ფრთები ასხია და შეუჭვრეტენია მისი სრბოლა წინ—მსოფლიო სამარადისო გზახვეულებისაკენ...

და ეს დღე წითელი ასოებით აღიბეჭდება ჩვენს ისტორიაში.

ხალხთა ერთობის ჰეროსტრატებმა ცეცხლი წუკიდეს სოლოდარობის წმინდა ტაძარს და მოფლოდნელათ, მიპარვით დანა ჩასცეს ჩვენს რესპუბლიკას.

აღელვებული იყო თეთრი დარბაზი. მრისხანე იყო უხუცესთა ხმა და დგებოდნენ საფლავებიდან ერის გმირთა აჩრდილები. შეუძლებელია აესწერო ყოველივე ის, რაც მოხდა იმ დღეს.

გაფთრებული, მაგრამ კლდე ჟორდანია, ატირებული, აცრემლებული მოხუცი რცხილაძე, აქუხებული, ინტიმურათ ამეჩუყეებული ვალ. ჯუღელი,.. თეთრი ცხვრისახოკები საზოგადოებაში... ამირეიჯანის დემონსტრაცია, თუ თარხან—თუმანოვის შავი მარში თეთრ დარბაზში..

ამ დღეს ყოველი სიტყვა სიმბოლო იყო ყოველი სიტყვა ზარის რეკა იყო და ეს ზარი ერთნაირათ ხვდებოდა ყოველ ქართველის გულს.

— ჩვენ ვარო, ჩვენ ვსცოცხლობთ—ჩვენ უნდა ვიყვეთ...

და შორს სისხლიანი ხელები. შორს შავი მტრების შავი ზრახვანი..

ქართველი ერი ერთია და მას ვფლკანივით ალმოხდება ერთი სიტყვა—:ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა, მაკრამ ჩვენსას არავის გავატანთ.

ამ სიტყვებში შეერთდა პარლამენტი და ამ სიტყვებს მთელი საქართველო—საქმეთ აქცევს.

სამშობლოს დასაცავად.

ცხინვალელების დეპეშა

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასა და პარლამენტის თავმჯდომარის კ. ჩხეიძის სახელზე ცხინვალიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: ცხინვალის მოქალაქენი მზათა ვართ დავიცვათ სამშობლო და თავისუფლება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

კრების თავმჯდომარე გ. ოქროპირიძე.

სტუდენტების კრება.

17 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა ამ უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტთა შეერთებული კრება. კრებაზე ერთხმათ დაადგინეს ყველა სტუდენტი დაუყოვნებლივ ჩაეწეროს ჯარში და გიმეზიერეს ბრძოლის ასპარეზზე. სტუდენტებმა დაადგინეს აცნობონ ეს გადაწყვეტილება თავადრობას და ელიან მას მაღალ განკარგულებას. კრებაზე ყველამ დიდი ენტუზიაზმი გამოიჩინა. სტუდენტმა ქალებმა ითხოვეს ჩვნც ჩაგვწერეთ და დაგვაკისრეთ სამშობლოსათვის თავის განწირავა. მათ განაცხადეს ტფილისის დაცვის სურვილი.

მგოსნები ჯარში

ს. ფაშალიშვილი, ჯვეენ იოსელიანი და სხვა ჟურნალისტ-მგოსნები მოხალისეთა ჯარში ჩაეწერნენ და პოზიციაზე მიემგზავრებიან.

იარაღის აყრა

გუშინ ტფილისის ყველა კომისარიატებში სომეხ მილიციონერებს იარაღი ჰაყარეს.

რაზმის შედგენა

გზათა სამინისტროში უკვე შესდგა მოხალისეთა რაზმი. რაზმში ეწერებიან უკვე, როგორც გზათა სამინისტროს, ისე დანარჩენ ნაწილების მოსამსახურენი.

სამგზედრო შუბაგის ცნობა

ახალქალაქის საზღვარზე

16 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს 5 საათზე სომეხი ორ ესკადრონამდე უცბათ თავს დაესხენ ჩვენს საველე დარაჯებს ახალქალაქის საზღვარზე. მცირე სროლის შემდეგ თავდასხმა მოგერეულ იქმნა. მალე სომეხების შემოტევა განახლდა, მაგრამ მისულმა ჩვენმა რაზმმა ხელ-ახლა უკუ აგდო.

სომხებმა მიიღეს ახალი ძალები და განაახლეს შემოტევა საღამოს 8 საათზე და ალეგზროვეს ჩვენი ნაწილები სოფელ ტროიცკოეთან. ჩვენმა ნაწილებმა კონტრ-იერიშით მტერი განდევნეს სოფელ ტროიცკოედან და დადევნების შემდეგ ისინი საზღვარს იქით უკუაგდეს. ტყვეთ წამოყვანილია 8 სომეხი. ბრძოლაში ვეზზე მტერმა დასტოვა 15 მოკლული და 40 დაჭრილი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

სანაინის მიმართულებით

სანაინის მიმართულებით, ღამის განმავლობაში აშეიათად იყო სროლა.

ბათუმში დაბრუნება.

სარწმუნო წყაროებიდან გვაცყობინებენ, რომ ბათუმში დაუბრკოლებლივ სწარმოებს ქართველების დაბრუნება და ოსმალნი ხელს არ უშლიან. ვინაიდან ამ მოკლე ხანში ბათომში საქალაქო არჩევნები უნდა მოხდეს, სავსებით ბათუმელი ქართველები დაუბრუნდენ ბათუმს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ბ. მაღლაკელიძის მოხსენება.

თანახმად თელავის მაზრის გენ. გუბერნატორის ბ. მაღლაკელიძის მოხსენებისა აპარაციები თელავის მაზრაზი უკვე დამთავრდა და სიწყნარე თანდათან მყარდება. თუმცა შიგა და შიგ ზოგი ერთი პირები ჯგუფის სახელით წყალს ამღვრევდნენ, მაგრამ მათი ძალა უმნიშვნელოა.

13 დეკემბერს შემდგარ სამხედრო საველე სასამართლოს განიხილა სამართალში მიცემულ 13 ცნობილ ყაჩაღთა საქმე. მათ შორის 4 ყაჩაღ ესტატე გულუას, ილია ფირანაშვილს, ლევან ლეფავას და სოლია ლომაშვილს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. დანარჩენი 8 კაცი სასამართლოს დადგენილებით უნდა იქმნენ განსამართლებული საერთო სამოქალაქო სამართლეთ.

„მოხალისეთა" ჯარის-კაცის დაჭერა.

ფოთის გარნიზონის უფროსმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ პორუჩიკი ბორის ოსიპოვი დაკავებულ იქმნა ფოთის მილიციის უფროსის მიერ და საქმე სამხედრო გამომძიებელს გადაეცა იმიტომ, რომ იგი 40 ფიიცერთა რიცხვში მიმავალი ასტრახანს „მოხალისე ჯარის"-კაცებით ფოთში ჩასვლის დროს დაემუქრა საქართველოს რესპუბლიკის მმართველებს და შეურაცხო ის მუქარით.

კომისრის დათხოვნა.

ლაგოდეხის რაიონის წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარე ე. გოცირიძე დეპეშით აუწყებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ კრება გამოსთქვამს მწუხარებას ლაგოდეხის რაიონის „ალაზნის გამოღმა" კომისარის ზაქარია ზედელაშვილის დათხოვნის გამო და უმორჩილესათ გთხოვთ გვაცნობოთ მიზეზი მისი დათხოვნისაო.

ზომების მიღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მმართველობა სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს თანახმათ მთავრობის ამა წლის 29 ოქტომბრის დადგენილებისა აუწყოს ხოლმე ამიერიდან თუ რა ზომებია მიღებული ჰამინისტროს მიერ მთავრობის დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანათ.

საგანგებო განათლების სამინისტროში

ჯამაგირების შესახებ.

სახალხო სკოლების ინსპექტორმა განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მასწავლებლები დაეკმაყოფილეთ ჯამაგირებითო. განათლების მინისტრმა ეს შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრს გაუგზავნა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში

ბ. დიურუა ბ. ევ. გეგეჭკორთან.

გუშინ, ნაშუადღევის 12 საათზე, საგარეო საქმეთა მინისტრს ე. ბ. გეგეჭკორს წარუდგა საფრანგეთის ეიტე-კონსული ბ. დიურუა და ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა მინისტრთან.

გერმანული დელეგაციის განმარტება.

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს გერმანიის დელეგაციამ განმარტებითი ნოტა გადუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ ტფილისის ზრგიერთი გაზეთები ხმებს ავრცელებენ, რომ „ჰალას ოტელის“ დაწვას ხელი შეუწყო ამ სასტუმროში მოთავსებულმა გერმანელთა ასაფეთქებელმა მასალებმა, ბენზინმა და სხვამაო. დელეგაცია აცხადებს, რომ სასტუმროში არავითარი ასაფეთქებელი ნივთიერება არა გვქონია შენახული.

გზათა სამინისტროში

ლტოლვილ სომხეთის უწესოება.

სად. ორთაჭალის სადგურის უფროსი ცერცვაძე დეპეშით ატყობინებს გზათა სამინისტროს შემდეგს:

„დამატებთ ჩემი დეპეშისა მოგახსენებთ, რომ სადგურ ორთაჭალაზე თოფელი მოვიდა, რის გამო ლტოლვილი სომხები, რიცხვით 4.800 სული, დაეცა სამხედრო უწყების ხის ფარდულებს რიცხვით 32-ს და მთლად მიანგრიმონგრია. გადარჩა მხოლოდ 5 ფარდული და შეშის მაგიერ სწვავენ. არავითარი მუქარა მათზე არ მოქმედობს. როცა მე მოქალაქობრივი ზომებს მიღება დავაპირე, ისინი დამედევნენ და ქართველების ლანძღვით თვითგასამართლებთ დამემუქრენ. ძლივს თავი დავაწყვე და რაღაც განგებით ვადაგრჩი. ამნაირი აუარებელი და ძვირფასი ქონება გაოხრდა ტყეულ უბრალოთ ჩვენი კეთილი მეზობლების წყალობით. გთხოვთ მათ წინააღმდეგ მიიღოთ უკიდურესი ზომები. გთხოვთ გადამიყვანოთ სხვა სადგურზე, ვინაიდან ერთათ-ერთი დაუფარავი ვრჩები.

გზის დაყოფა სარეკვიზორო უბნებში.

რკინის გზის უფროსის განკარგულებით პირველ ინვრიდან სახაზინო რკინის გზათა მმართველობის სამოძრაო ნაწილის განყოფილებანი უქმდება და მათ ნაცვლად მთელი გზა დაიყოფა შვიდ სარეკვიზორო უბნად და ეს უბნები შემდეგ გვარად იქნება განაწილებული: ნატანეგ-ფოთ-ირინონ უბანი ჩაბარდა განყოფილებას უფროსს ჩუბინიძეს ბინადრობით სამტრედიაში, მეორე უბანი ტყვიბული ქუთაისი-რიონი-ზესტაფონი განყ. უფროსს ჩხეიძეს ბინადრობით ქუთაისში, მესამე უბანი: ყვირილა-ჭიათურა-ხაშური-განყ. უფროსს თუთბერიძეს ბინადრობით ყვირილაში, მეოთხე უბანი ხაშური-ბორჯომი ტტოეობით გორამდე განყ. უფროსს თუხარელს, მეხუთე უბანი გორი-ტფილისი ბინადრობით ტფილისში, მეექვსე უბანი ნავთლუღი-სალოღელი განყ. უფროსს კორძაიას ბინადრობით ტფილისში და მეშვიდე უბანი ნავთლუღ-ზაგალამდე-განყ. უფროსს ნაღრამეს, ბინადრობით ტფილისში. წინადადება ეძლევა ყველა ამათ ეხლავ შეუდგნენ თავის თანამდებობის აღსრულებას.

იუსტიციის სამინისტროში

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე დანიშნულია გასარჩევად 21 დეკემბერს საგანგებო სასამართლოში.

დანიშვნა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორად ინიშნება იმავე სასამართლოს წევრი ხარაზოვი.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

სამინისტროს კანცელარიამ მიიღო პარლამენტის იურიდიული კომისიის მიერ შესწორებული კანონ-პროექტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შეღოღების შესახებ.

დუშეთის ამბების გამოძიება.

დუშეთის ამბების გამოძიებელმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და სამინისტროს წარმოუდგინა საქმე 6 ტომად სათანადო მსჯელობის მისაცემად.

საგენერალ-გუბერნატოროში

„კავკასკოე სლოვო“.

ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „კავკასკოე სლოვო“ დახურულ იქმნა სამხედრო წესების მოხსნამდე. გაზეთის რედაქტორი ანნოვი დაპატიმრეს.

მუშათა დეპუტატების საგეჭოს და პროფ. კავშირებს

შრომის სამინისტროსაგან

ამხანაგებო, რადგან გუბერნიის შრომის კომისარს არ შეუძლიან ჯეროვანად ადევნოს თვალ-ყური მთელ გუბერნიაში, ყველა იმ ადგილებს, სადაც დაქირავებული შრომა არსებობას და საჭირო კიაც რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი არსებობდეს მუშებსა, მათ ორგანიზაციებს და შრომის კომისრებს და სამინისტროს შორის, შრომის სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სხვა და სხვა სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებში არსდება შრომის სამინისტროს რწმუნებულთა თანამდებობა.

სანამ გამოიცემოდეს სპეციალური კანონი რწმუნებულთა უფლება-მოვალეობის შესახებ, სამინისტროს მიერ შემუშავებული არის დროებითი დებულება და ინსტრუქცია.

ამის თანახმად თქვენს რაიონში არსებულ მუშათა ორგანიზაციებს ეძლევათ უფლება დაასახელონ რწმუნებულთა თანამდებობაზე არა ნაკლები ორი კანდიდატისა, რომელთა რიცხვიდან ერთ-ერთი დამტკიცებული იქნება შრომის სამინისტროს მიერ რწმუნებულად.

გთხოვთ რაც შეიძლება ჩქარა მოახდინოთ არჩევნები კანდიდატების და გვაცნობოთ მათი გვარი, სახელი და მამის სახელი, რა ხელობისაა, სად მუშაობს და რა სწავლა აქვს მიღებული. საჭიროა დასახელებულნი იქნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს, მუშათა ცხოვრებას, შრომის დამცველ კანონებს და აქვთ საკმარისი უნარი, ცოდნა წერა-კითხვის და სურვილი, რომ ღირსეულად და ხალისით შეასრულონ რწმუნებულის სერიოზული მოვალეობა.

გერმანული პრესის ცნობა.

(სოჭ. დეპ. სააგ.)

დამფ. კრება

მეკლენბურგში დამფუძნებელი კრების არჩევნები დაინიშნა 25 დეკემბერს.

მაკენზენის არმია.

მხოლოდ ახლა გაიგეს გერმანიაში, რომ მაკენზენის არმიის რამოდენიმე ათასი ჯარის კაცს, რომელსაც ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდათ, 5 დეკემბერს რუმინიის ჯარმა იარაღი აჰყარა და დაატყვევა. მაკენზენმა ამის შესახებ პროტესტი განუცხადა რუმინიის მთავარ სარდლობას ბუქარესტში. კონსულტიდან გერმანული ელჩი იუწყება, რომ რუმინიის ჯარმა მაკენზენის მოწინავე რაზმს, რიცხვით 2.000 ჯარის-კაცი და 120 ოფიცერი, გამგზავრების საუწყოლად აო მისცა, აჰყარა იარაღი, დაატყვევა და უდიერათ მოეპყრო.

ფრანგული ჯარის მოქმედება.

დაქერილ ოლქებში ფრანგები არა თუ მუშათა და ჯარის-კაცთა საპეოების წინააღმდეგ მიდიან, არამედ კრიზენანში გარეკეს მუშათა და ჯარის-კაცთა საპეოსგან შემდგარი სახალხო საბჭო.

პოლონეთი და გერმანია.

პოლონეთის დეპეშათა საააგენტოს ცნობით პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გერმანიის წარმომადგენელს გრაფ კესლერს გადასცა ნოტა, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიის პოლონეთისადმი მტრული განწყობილების გამო ყოველგვარი მოლაპარაკება უმიზნოა და დიპლომატიური დამოკიდებულება უნდა შესწყდეს. მოლაპარაკება სწარმოებდა ერთ ოლქზე, რომელიც ეკუთვნის. (გამოტოვებულია). და რომელიც დღესაც ემორჩილება. (გამოტოვებულია) ამ ოლქის პოლონეთის ხელში გადაცემა დაგვიანდა ტეხნიკურ მიზეზების გამო და არ მოხდა ისე ჩქარა, როგორც ეს პოლონელებს სურდა. პოლონელები ამაში გერმანიასთან დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტის საბაბს ეძებენ და ამით მეგობრობას უმტკიცებენ შეთანხმების სახელწოდებას.

გერმანიის საბჭოების ყრილობა.

16 დეკემბერს პოტსდამის პალატის დარბაზში გაიხსნა გერმანიის მუშათა და ჯარისა კაცთა საპეოების დელეგატთა კონფერენცია. ფაროთ საზოგადოების ყურადღება იქმიკენაა მიქცეული, მოიწვევენ თუ არა ახლო მომავალში დამფუძნებელ კრებას, თუ საბჭოთა მთავრობა შესცვლის მას.

ფოთის საბაჟო.

ფოთის ნავთ-სადგურის მართვა-გამგეობასა და საბაჟო ნაწილში ამ ბოლოდ ოთხი თუ ხუთი უწყება ერევა, რომლებიც ხშირად თანხმობით მოქმედების მაგიერ უფრო ერთიერთს ებრძოლებს საბაჟო საქმეს.

თვით საბჭოს მოხელეთა რიცხვიც მეტად მცირეა, საქმეს ვერ უძღვება და მეზავრთა ბარგის დათვალიერებას ვერ ასწრებს. თავგასული სპეკულიანტები-კი წეს-რიგს აკ ემორჩილებიან და განგებ არეულობას იწვევენ, რომ გასხლტნენ და საქმეული გააპარონ. ამისაგან კონტრაბანდად თითქმის აშკარად გადის და შემოდის.

ამ უწესოებას მთავრობამ მიაქცია თვისი ყურადღება და სათანადო დაწესებულებას დაავალა იზრუნოს ფოთის ნავთსადგურის მოწესრიგებისათვის. დაარსა განსაკუთრებული კომისია, ფინანსთა, შინაგან, და გარეშე საქმეთა სამინისტროებისა და სანაპირო სადარაჯოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისიის ორმა წევრმა დაათვალიერა ფოთის პორტი, გამოიკვლია საქმის ვითარება და საჭირო ცნობები შეჰკრიბა.

კომისია იმ აზრს დადგა, რომ ფოთის ნავთსადგურს განსაკუთრებული კომენდანტი განაგებდეს, რომელიც მხოლოდ რაიონის სანაპირო სადარაჯოს უფროსს უნდა ექვემდებარებოდეს. ფოთის ქალაქის გარნიზონი და საერთოდ სამხედრო უწყება ნავთსადგურის საქმეში არ უნდა ერეოდეს, თუ მოუოლნელ შემთხვევის გამო კომენდანტმა ჯარის დახმარება არ მოითხოვა წეს-რიგის აღსადგენად. საბაჟო საქმეს-კი ხმოლოდ საბაჟოს მოხელენი უნდა აწარმოებდნენ.

კომისიამ ინსტრუქცია შეადგინა და ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა.

მართალია, კომისიის პროექტის შესრულება შეხამჩნევ ზედმეტს ხარჯს გამოიწვევს, მაგრამ სამაგიეროდ ფოთის საბაჟოს შემოსავალი თითქმის გაათკეცდება და ვარაუდით 60 მილიონ მანეთს აღემატება წელიწადში.

ქრონიკა

○ სახალხო გვარდიის შტაბმა მიიღო მე-2-ე ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარისაგან 696 მანეთი.

○ ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭომ, მოისმინა რა ბორჩალოს მაზრის სამწუხარო ამბები დაადგინა:

1. მხარი დაუჭიროს ტფილისის ქალაქის საბჭოს 16 დეკემბრის რეზოლიუციას ამ ამბების შესახებ;

2. ენერგიული და კატეგორიული პროტესტი განაცხადოს ორი მონათესავე ერის ისტორიული მეგობრობის დარღვევის წინააღმდეგ.

3. მოიწყოს შემოწირულების შეგროვება ორ სახელმწიფოს მსხვერპლთა სასარგებლოდ.

4. მოუწოდოს საქართველოსა და სომხეთის ყველა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთა კლასს, რათა ყოველი ღონე იხმაროს, რომ მოხდეს კონფლიკტის ლიკვიდაცია მშვიდობიანი გზით და ამ ორ ერთა შორის ისევ დარჩეს მეგობრული განწყობილება.

არჩეულია კომისია შემოწირულების შეაგროვებლად საქართველოსა და სომხეთის შეჯახების მსხვერპლთა სასარგებლოდ. კომისია შესდგება შემდეგი პირთაგან:

არკ. ნ. მილოვი, ვ. ე. ხანდანოვი, ი. ი. გველესიანი, ზ. მ. კარლინსკი, კ. ა. ხალათოვი, ა. ზ. ბერულაშვილი და კ. მ. მესხიშვილი.

განცხადებები

სასადილო საზოგადოება „იმედი“-სა

ქალთა წრემ განაახლა მუშაობა სასადილო „იმედისა“. ყოველ დღე მზადდება გემრიელი სადილები 1 საათიდან—5 საათამდინ. მოწვეულია საუკეთესო მზარეული. ფასები დაკლებულია. სასადილო იმყოფება ძველ სემინარიის შენობაში. 1173 12—2

დიდი ხნის ნამსახური ასწავლის ბეჭდვას

ქართულ საწერ მანქანაზეზე

და ამზადებს სპეციალურად დაწესებულებებისათვის (ყველა სახეობის ქაღალდების ფორმების შესწავლით). აქვე ასწავლიან ქართულ ენას. ლერმონტოვის ქ., № 29. 1154 8—4

ეძიმი ი. კ. აგაკენლია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების ანკოსა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ნაირ ქრონიკულ სასნაულებისა. და მალარიისა. ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

ბერგმან გოლდბერგი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის სადგურზე ლაგინი, ჩემოდანი და კალათი, სადაც სხვათა შორის იყო სამი ებრაული წიგნი. მპოვნელს თხოვს დაუბრუნოს მხოლოდ წიგნები, რისთვისაც ის მიიღებს 300 მან. ჯილდოს. მისამართი: პოლიციის ქუჩა, № 2, ბერგმან გოლდბერგს. 1155 3—2

პეტრე პეტრეს ძე სტეკლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კვიტანცია № 862, 100 მან. მიღებული კავკასიის სამხედრო კოოპერატივიდან. კვიტანცია გაუქმებულად ითვლება. 1186 3—2

ხონის მომრიგებელ უბნის გამგე, სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1233 და 1241 მუხ. თანახმად, იწვევს გარდაცვალებულ სერაფიონ გრიგოლის ძე ბუაძის მემკვიდრეებს, რათა მათ ექვსი თვის ვადაში განაცხადონ თავისი უფლება ბუაძის ქონებაზე. 442. 3—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე სამ. საქ. წარმ. წესი. მე-1401 მუხ. თანახმად იწვევს ლეონიდე დომინიკის ძე ჟუდრის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჟუდრის ქონებაზე სამ. კან. კრ. X ტ. I ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 714 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1918 წ. აგვისტოს 26 აღნიშნულია ფოთის ნოტარიუს ვეტკვალსკისთან ამა წლის ივლისის 17 შედგენილი სიმტკიცის მოწმობა № 60, რომლითაც ანდრია ხიმონის ძე ლაშქარეფმა დაიმტკიცა ქ. ფოთიდან უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს დიდ კუნძულზე, ფეოდოსიას ქუჩაზე და შეიცავს მიწის ნაკვერს № 527, ზომით 200 ოთხკ. საე. ფუსი 60 მან. სიმტკიცის გადასახადი 2 მ. 40 კ. საღერმო ქალაქზე ამონაწერი 50 კ. 662 1—1

ხონის მომრიგებელ უბნის გამგე, აქვსი თვის ვადაში ამ განცხადების დამბეჭდვიდან იწვევს მოპასუხეს ამბაკო დავითის ძე ბალავაძეს რომელსაც ივანე ღვინერია უჩივის 300 მ. პირობით და 200 მ. თუ ბალავაძე არ გამოცხადდა, ან წერილობითი განმარტება არ გამოგზავნა, მომჩივანის თხოვნით, საქმე მის დაუსწრებლათ გადაწყდება. 667 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. წესდ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოსამართლის თანაშემწემ დადგენილებით, ეძებენ ტარასი ნოვაძეს. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ნოვაძე, ვალდებულია განუცხადოს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში იმყოფება ნოვაძის ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ სათანადო სამმართველოში. 624 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 24 ხელმოწერილია ყადაღა, რომელიც მე—42 №-ით შეტანილია 1918 წ. კადაღათა კრებულში. ყადაღა დადებულია მიხეილ ოვანესის ძე ნალბანდიანის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს მიწის ნაკერს შენობებით ქ. სოხუმში, ზომით 376 ოთხკ. საე. ყადაღა დადებულია იმ სესხის, 4000 მ. უზრუნველ-საყოფად, რომელიც მიეცა მარტტინის ნალბანდიანს ტფილისის საადგილ-მამულო ბანკიდან 36 წლით და 4 თვით 1903 წ. ივლისის პირველიდან. 984 1—1

პოლკოვნიკ ნარიკელაძეს

მინდობილი აქვს ოფიცერობა რაზმის შედგენა

შემდეგი პირობებით:

ოფიცრებს მიეცემათ უმცროს ოფიცრის ჯამაგირი, ჯარის-კაცის ხარჯი და უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება.

ოფიცრებმა, რომელთაც სურთ აღნიშნულ რაზმში შესვლა, უნდა ჩაეწერონ ზემოხსენებულ პოლკოვნიკთან.

მისამართი: მიხეილის პრ., სამხედრო სასწავლებელი. რაზმის კანცელარია.

სამხედრო სამინისტროს პროგრამულ შემადგენლობის

განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორ წულუკიძე.

ტფილისი. სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი ბ. დ. საუბარელიძე.